2023 წლის 23 თებერვალი ქალაქი ქუთაისი

განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის და მისი დღის წესრიგის განსაზღვრის თაობაზე

1. მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომა 2023 წლის 06 მარტს 11:00 საათზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნიუპორტის ქ. №32, დარბაზი №4.

შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საკონკურსო პროგრამის დამტკიცება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში არსებულ შემდეგი ვაკანტურ თანამდებობებების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის:

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ანალიტიკური სამსახურის უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწე - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივანი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტი - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ანალიტიკური სამსახურის სპეციალისტი - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მანდატურის სამსახურის მანდატური - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

ბ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 თებერვლის N87 ბრძანების შესაბამისად გამოცხადებული კონკურსისათვის (შემდგომში - „კონკურსი") საკონკურსო პირობების დამტკიცება;

გ) კანდიდატების შეფასების წესის განსაზღვრა;

დ) კონკურსის შედეგების გამოცხადების წესის განსაზღვრა;

ე) კონკურსთან დაკავშირებით სხვა საორგანიზაციო საკითხების განხილვა;

ვ) კონკურსში მონაწილე კანდიდატების სარეგისტრაციო ბარათისა და შეფასების ფორმების დამტკიცება.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებამ განახორციელოს კომისიის წევრთა ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე:

ქეთევან აწყურელი